

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯი - „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, ცენტრის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ცენტრი - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;
- დ) კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
- ე) პროფესიული კვალიფიკაცია - პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება ცენტრის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;
- ვ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
- ზ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და ცენტრში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამორიცხვა;
- თ) მობილობა - პროფესიული სტუდენტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
- ი) შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის ცენტრის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ცენტრის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული ტესტირების ჩაბარების საფუძველზე უფლება აქვს მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირის ცენტრში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
3. პირის ცენტრში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება ცენტრის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;
 - ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
 - გ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
 - დ) სამხედრო სამსახურში გაწვევა, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა;
 - ე) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
 - ვ) ცენტრის შინაგანაწესის არაერთგზის უხეშად დარღვევა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით წერილობით მიმართავს ცენტრს. იგი ვალდებულია, წარადგინოს ზემოთაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი, შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას, სტატუსის შეჩერების ვადას შესაბამისი გარემოებების შეფასების საფუძველზე ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის რეკომენდაციის საფუძველზე ადგენს ცენტრის დირექტორი. ზემოთაღნიშნული საფუძველით არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში არაუგვიანეს სამუშაო 5 დღისა ეცნობება მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.
6. ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის დასაბუთებული შუამდგომლობით შესაძლებელია, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდეც, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი.
7. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერი წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნულის თაობაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წერილობით უნდა მიმართოს ცენტრს ან მის უფლებამონაცვლეს.
8. ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად.
9. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ ეტაპიდან, რომელზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლის 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა).
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
 - გ) პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
 - დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
 - ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3-ის გაცდენა;
 - ვ) ცენტრის შინაგანაწესის მოთხოვნათა უხეშად დარღვევა;
 - ზ) გარდაცვალება;
- თ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ან ისეთი დოკუმენტის, ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

ო) თვითდაფინანსების შემთხვევაში ფინანსური დავალიანება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს ცენტრის დირექტორი.

2. ერთი და იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა (მათ შორის, შიდა მობილობა) შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე 1 თვით ადრე.

3. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში (მათ შორის, შიდა მობილობის დროს) პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის შემდეგ. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს ცენტრის დირექტორი.

4. მობილობის უფლების მქონე პირი:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

5. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს ცენტრს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩარიცხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. ცენტრის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც განცხადების რეგისტრაციისას ეცნობება მობილობის მსურველს და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.

6. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს ცენტრის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

7. პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით ცენტრში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მუხლი 6. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს ცენტრი.

2. შიდა მობილობის უფლების მქონე პირი:

ა) ცენტრის პროფესიული სტუდენტი;

ბ) ცენტრის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მობილობის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე 1 თვით ადრე.

4. შიდა მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს ცენტრს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით. ცენტრის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც განცხადების რეგისტრაციისას ეცნობება მობილობის მსურველს და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად. დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.

5. შიდა მობილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

მუხლი 7. მიღებული განათლების აღიარების წესი

1. ცენტრი ადგენს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ცენტრის იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობას, რომელზეც ხორციელდება მობილობა, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის 75%-ზე ნაკლები და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შესაძლებელია ცენტრის მიერ დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ დასახელებაში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. შიდა მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარება ხდება ცენტრის მიერ. შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითება ინფორმაცია აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესახებ.
5. პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ფორმდება ცენტრის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის მითითებით.
6. ცენტრი უფლებამოსილია, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამის კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შემოწმება და მათი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. თავსებადობის არარსებობა შესაძლებელია გახდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ცენტრი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.
2. ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ცენტრი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას ცენტრის სხვა მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. ცენტრში მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, ცენტრი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. ცენტრში სწავლება მიმდინარეობს ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული

მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიყენება ბრძანება პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

3. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა და შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი), რომელთა შორის შესვენება 10 წუთია.

6. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

7. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად.

8. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) საგნის/მოდულის დასახელება;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელების სახელი, გვარი;

გ) ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.

9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის გაცდენების ცენტრის მიერ საპატიოდ ჩათვლა

1. პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის (1/3-ის გაცდენა) კონკრეტული პროფესიული სტუდენტის მიმართ გაუვრცელებლობისა და გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

2. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა ჩათვლება საპატიოდ, თუ გაცდენის მიზეზს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის:

ა) საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, მოკლევადიანი ვიზიტით გამგზავრება საზღვარგარეთ სასწავლო საგანმანათლებლო მიზნებისთვის (მონაწილეობა ტრენინგებში, კონფერენციებში და ა.შ.), მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობა (შესაბამისი დოკუმენტის გაცემიდან 10 სამუშაო დღეში წარმოდგენის შემთხვევაში);

გ) ოჯახური პირობები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიიღება პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი

წარმომადგენლის წერილობითი მიმართვაში აღნიშნული გარემოებების შეფასებისა და ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე.

4. პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი.

მუხლი 11. ცენტრის მიერ ტრენინგ-კურსებისა და მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის წესდებით“ დადგენილი წესის შესაბამისად, ცენტრი უფლებამოსილია, განახორციელოს სხვადასხვა ტრენინგ-კურსები, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

2. ცენტრი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სხვადასხვა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ ცენტრის მიერ გაიცემა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის ან დასრულების ფაქტს.

3. შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ ხელშეკრულებები მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ტრენინგ-კურსის მსმენელებთან და მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ტრენინგ-კურსის განმახორციელებლებთან ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ცენტრის მიერ ტრენინგ-კურსებისა და მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება ცენტრის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 12. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. ცენტრი აფასებს პროფესიული სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე, მის ჩართულობას სწავლების პროცესში და შემოქმედებითობას.

2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში - პრაქტიკულ მეცადინეობასა და საბოლოო გამოცდის ჩაბარებას.

3. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

4. შეფასების სისტემა მოიცავს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს:

ა) ორ შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

6. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

7. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაცია მიენიჭება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო კურსში 51 ქულიდან 100 ქულამდე შესაბამისი ქულის მიღების შემთხვევაში.

8. შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასება ხდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებულ ვადაში. საბოლოო გამოცდაზე არ დაიშვება პროფესიული სტუდენტი, რომელსაც არ ექნება შუალედური შეფასებები.

9. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით დასკვნით ან შუალედურ გამოცდაზე შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით მიღებული შეფასების შემთხვევაში;
- ბ) საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობის გამო;
- გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- დ) ოჯახური პირობების გამო.

10. დამატებით გამოცდაზე პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს შესაბამისი დასკვნითი/შუალედური გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში. დამატებითი გამოცდა პროფესიულ სტუდენტს დაენიშნება აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების გათვალისწინებით დამატებითი გამოცდის დანიშვნის მოთხოვნით პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს წერილობით ცენტრს და წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით პროფესიული სტუდენტისათვის დამატებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მომართვაში აღნიშნული გარემოებების შეფასებისა და ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს, შესაბამისი მოდულზე (რომელსაც აქვს შესაბამისი წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 3 მცდელობის მიუხედავად სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული უნდა გაიაროს ხელახლა.

14. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე, აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

მუხლი 12¹. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი

1. შუალედური/დასკვნითი გამოცდის/შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 5 დღის ვადაში.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.
3. შესაბამისი საგნის/მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 დღის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (შუალედური/დასკვნითი გამოცდა, მოდულის შედეგი ან სხვა ნაშრომი) ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის/კომპტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გაპროტესტების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.
6. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს ელექტრონულ ჟურნალში საგამოცდო ნიშნის კორექტირების თაობაზე საგნობრივი პროგრამის შემთხვევაში, ხოლო მოდულური პროგრამის შემთხვევაში - შესაბამის უწყისში.
7. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
8. პროტესტის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
9. აღნიშნული წესი არ ვრცელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური პროგრამებით.
2. მტკიცებულებათა შეროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა ცენტრში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ცენტრის ადმინისტრაცია.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები ცენტრში დაცულია და ინახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად._

მუხლი 14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შეძენასა და შენახვას აწარმოებს ცენტრი.
2. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.
3. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას ცენტრში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უზრუნველყოფს ცენტრის ადმინისტრაცია.
4. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელ მტკიცებულებას, შესაძლებელია, ამ წესის 13-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადით ცენტრში ინახებოდეს იმ ვიდეო ან/და ფოტო ან სხვა მასალის სახით, რომელშიც ასახულია ზემოთაღნიშნული მტკიცებულება.